ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პოლიტიკის შეფასება საქართველოში

ნინო ასანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ასოცირებული პროფესორი, ნინო დოლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგანალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ასანიძე

18.01.2026

აბსტრაქტი

დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებული საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია, სახელმწიფოში მცხოვრები თითოეული ადამიანის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ. საქართველოში მრავალი წელია მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების საკანონმდებლო ნორმებისა და რეგულაციების პრაქტიკაში განხორციელების პრობლემების მოგვარება. პროცესების გაუმჯობესება, თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში, აქტიური გახდა ადრეული და სკოლამდელი განათლების მნიშვნელობისა და მისი მიღების აუცილებლობაზე ზრუნვა და გაუმჯობესება. 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადრეული აღზრდისა და განათლების შესახებ, რომელიც არეგულირებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების მიღების საყოველთაობას, მის ხელმისაწვდომობას, ასევე მის განვითარებასა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს. კანონი ადგენს სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის სავალდებულოობას, რომელიც ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს. მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში, ამ მიმართულებით უამრავი საჭირო და აუცილებელი პროცესები მიმდინარეობს, თუმცა ამის მიუხედავად, დღეისთვის კვლავ მრავალი გამოწვევა არსებობს.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პოლიტიკის შეფასებას მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსა და მისი პრაქტიკული განხორციელების საფუძველზე.

კვლევის მიზანია, საქართველოს ადრეული და სკოლამდელი განათლების პოლიტიკის შეფასება და იმ ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც ვლინდება პოლიტიკის განხორციელების პროცესში. კვლევა ეფუძნება თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიას და მოიცავს ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით არსებული საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზს, ამასთან, ექსპერტებთან, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ჩატარებული

ინტერვიუების და საგანმანათლებლო პერსონალის მიერ კითხვარში გამოვლენილი შედეგების განხილვას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პოლიტიკის ნორმატიული ჩარჩო ეროვნულ დონეზე არის ერთიანი, თუმცა მისი განხორციელება მიმდინარეობს განსხვავებულად, მუნიციპალიტეტების მიხედვით. ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ისეთი საკითხები, როგორიცაა ხელმისაწვდომობის პრობლემა, პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურული პირობები, ასევე მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართულობით მხარდაჭერა.

ნაშრომი წარმოაჩენს საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო პოლიტიკის არსებულ მდგომარეობას და ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების აკადემიურ გააზრებას. ნაშრომში ანალიზის შედეგად გამოტანილი დაშვებები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას რეკომენდაციებად პოლიტიკის შემდგომი განხორციელების ეფექტურობის გაზრდისათვის.

ძირითადი ტერმინები: ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება, სახელმწიფო პოლიტიკა, სკოლამდელი დაწესებულება.

Abstract

The state policy of Georgia, based on the principles of democracy, is aimed at increasing access to education for every person living in the state. For many years, Georgia has been working to resolve the problems of implementing legislative norms and regulations on preschool education in practice. The processes have been improving, however, in recent years, attention to the importance of early and preschool education and the need to receive it have become active. In 2016, the Parliament of Georgia adopted the Law on Early Childhood Education and Education, which regulates the universality of early and preschool education in Georgia, its accessibility, as well as the legal foundations for its development and quality assurance. The law establishes the mandatory authorization of preschool institutions, which is currently underway. All over the world, including in Georgia, many necessary and necessary processes are underway in this direction, but despite this, many challenges still exist today.

This paper is dedicated to the assessment of Georgia's early and preschool education policy based on the current legislative framework and its practical implementation.

The aim of the study is to assess Georgia's early and preschool education policy and identify the main challenges that are emerging in the process of policy implementation. The study is based on qualitative and quantitative methodology and includes an analysis of existing legislative and policy documents in the field of early and preschool education, as well as a discussion of the results of interviews conducted with experts, representatives of municipalities and a questionnaire survey conducted by educational personnel.

The study revealed that the normative framework of the policy is unified at the national level, although its implementation is taking place differently depending on the municipalities. As a result of the analysis, issues such as the problem of accessibility, accessibility of professional development, infrastructural conditions, as well as support for children with the needs of vulnerable groups through engagement were identified.

The paper presents the current state of the state policy of early and preschool education in Georgia and contributes to the academic understanding of the processes taking place in the field of early and preschool education. The assumptions and conclusions drawn from the analysis in the paper can be used as recommendations to increase the effectiveness of further policy implementation.

Key terms: early and preschool education, state policy, preschool institution

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო დოლიძეს, კვლევის პროცესში მხარდაჭერისთვის, რჩევებისთვის და რეკომენდაციებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო, კვლევაში მონაწილე თითოეულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საგანმანათლებლო პერსონალს გურწფელი პასუხებისა და რეკომენდაციებისთვის. ასევე, დიდ მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე თითოეულ ექსპერტს, სკოლამდელი განათლების სპეცილისტს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს გულწრფელი პასუხებისა და პროფესიული შეხედულებების გაზიარებისთვის.

აქვე, მადლობას ვუხდი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს გაწეული მხარდაჭერისთვის.